ვაჟა კიკნაძე
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

მასალები ნანუკაშვილთა საგვარეულო ისტორიისათვის (XIX საუკუნის საბუთები)

ეს გვარი: „ნანუკაშვილი“ ამ ფორმით XIX ს. დასაწყისამდე არ ჩანს. არსებობს XVI საუკუნის ბოლოს შედგენილი საბუთი, სადაც ფიგურირებს ვინმე ნანიკაშვილი დათუა [1, 267]. ეს არის ამ გვარის საწყისი ფორმა.

XIX ს. დასაწყისში, რაჭაში, პიპილეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, მოღვაწეობს მღვდელი გრიგოლ გიორგის ძე ნანუკაშვილი (ჩანს 1838-დან 1842 წლამდე, როდესაც გარდაიცვალა [2]). ამავე პერიოდში საბუთებში ჩანს რამდენიმე ნანუკაშვილი: იოსებ გრიგოლის ძე, ისიც მღვდელია წმ. გიორგის ეკლესიაში 1851-1854 წწ. ის მღვდელმსახურობს ღარის (ონი) მთავარანგელოზის ტაძარში. 1854-1855 წწ. კვლავ ონის წმ. გიორგის ეკლესიაში. ის გარდაიცვალა 1872 წ. 27 დეკემბერს [3]. ასევე, წყაროში იხსენიება რაჟდენ გრიგოლის ძე ნანუკაშვილი. ისიც გრიგოლ ნანუკაშვილის ვაჟი უნდა იყოს. რაჟდენი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ონის განყოფილების ნამდვილი წევრი (1914), ნახსენებია აგრეთვე: გრიგოლ იოსების ძე ნანუკაშვილი, რომელიც ღარის (ონის) მთავარანგელოზის ტაძრის მღვდელია (1873-1905) (იგი იოსებ გრიგოლის ძის ვაჟი უნდა იყოს). საბუთებში ასევე იხსენიება დავით გიორგის ძე ნანუკაშვილი (ნანუკოვი). დაბადებული 1851 წელს [4]. იგი არის ჩემი ბებიის – მარინე დავითის ასულ ნანუკაშვილის მამა. როგორც პროსოკოგრაფიული ჩანაწერებიდან ირკვევა, ის ყოფილა ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ნამდვილი წევრი (1880). აქტიური იყო 1877-1878 წწ. ის არაერთხელ იხსენიება ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახვე-





დავით ნანუკაშვილის დაბადების მოწმობა (წინა და უკანა მხარე)

ლი ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებით. ამ ანგარიშებს ხელს აწერენ: ამხანაგობს წევრები: დავით ნანუკოვი (ნანუკაშვილი) და მინა გიორგობიანი. 1880 წელს, ყოფილი ივანოვის ბიბლიოთეკა გადავიდა ალექსანდრე ჯაბადარის და დავით ნანუკაშვილის მფლობელობაში. ის მდებარეობდა სასახლის ქუჩაზე, არწრუნის გალერეასთან. (დღევანდელი „რუსთაველის“ მეტროს სადგურთან) [5]. მარინე ნანუკაშვილი (საყვარელიძისა) ჩანაწერიდან ირკვევა, რომ დავით ნანუკაშვილი ჯერ თიანეთში, შემდეგ თელავში გადავიდა საცხოვრებლად. ის დაქორწინდა პოლონური წარმოშობის ქალბატონზე ნადეჟდა კულვანოვსკაიაზე. დავით ნანუკაშვილმა ამ დროისთვის, სრულიად დაკარგა მხედველობა და მას იურიდიულ საქმიანობაში მეუღლე ეხმარებოდა [6, 124-125]. ჩემი საბუთების კოლექციაში, ინახება დავით გიორგის ძე ნანუკაშვილის დაბადების მოწმობა (დედანი), მაგრამ სანამ მას მოვიტანდეთ, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას, გიორგი ნანუკაშვილზეც. როგორც გიორგი გრიგოლის ძე ნანუკაშვილის ნამსახურების აღრიცხვის სრუ-





დავით ნანუკაშვილის თერგის ოლქში სამსახურის მოწმობა
(წინა და უკანა მხარე)

ლი სიიდან დგინდება (ე. წ. „Формулярный список“), ის 1839 წელს მასწავლებელია ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ გორის საოლქო სასამართლოშია გადამწერად (1842); შემდეგ, დაინიშნა ახალქალაქის და ხერთვისის „უბნის წარმომადგენლის„ („Участковой заседатель“) დამხმარედ (1844) შემდეგ, ხიდისთავის (გორის ოლქი) „უბნის წარმომადგენლის“ დამხმარედ (1846), რაჭის ოლქის მმართველობის მდივნის დამხმარედ (1850) ასევე: რაჭის ოლქის მმართველის დამხმარედ (1853). 1857 წელს დაინიშნა გორის ოლქის მმართველობის მდივნად .1859 წელს დაინიშნა ხიდისთავის „უბნის წარმომადგენლად“, ხოლო 1862 წელს გადაყვანილ იქნა გორის „უბნის წარმომადგენლად“. ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორის ბრძანებით, ნება მიეცა აღესრულებინა რაჭის ოლქის მმართველის მოადგილის თანამდებობა. 1868 წელს კი შტატების ახალი განლაგების გამო, დარჩა შტატგარეშე; ყველაზე დიდი ჩინი

რაც მან მიიღო იყო: კოლეგიის ასესორი [7, 2-7]. ასეთი იყო ქართველი ჩინოვნიკის ბედი. მას მთელ საქართველოში (ზოგჯერ მის ფარგლებს გარეთაც) დაატარებდნენ და ბოლოს შტატგარეშე რჩებოდა!

დავუბრუნდეთ ზევით ნახსენებ დავით ნანუკაშვილს. ჩვენს პირად არქივში ინახება მე-XIX საუკუნის ორი საბუთი (ორიგინალი), რომელიც მას შეეხება. ერთი არის მისი დაბადების და ნათლობის მოწმობა და მეორე კი, თერგის ოლქში მისი მუშაობის მოწმობა. წარმოვადგენთ ორივე მათგანის ჩვენ მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანს.

მოწმობა

„მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მითითებით, საქართველო-იმერეთის უწმინდესი სამთავრობო სინოდის კანტორიდან გაცემულია ეს მოწმობა; (მოწმობა გაცემულია) გორის ოლქის წარმომადგენლის („участковый заседатель“), ტიტულარული მრჩევლის გიორგი გრიგოლის ძე ნანუკოვისადმი, (ნანუკაშვილისადმი, ვ. კ.) მასზედ, რომ მისი თხოვნის საფუძველზე, გაეცათ ცნობა,მისი ვაჟის დავითის დაბადებისა და ნათლობის შესახებ. დაიძებნა (ასეთი) მოწმობა და აღმოჩნდა, რომ იმერეთის ეპარქიის მეტრიკებში, ადგილ – ონის წმ. გიორგის ეკლესიის ათასრვაას ორმოცდათერთმეტი წლის, N1 ქვეშ, ჩაწერილია (შემდეგი): კოლეგიის მდივანს გიორგი გრიგოლის ძე ნანუკოვს და მის მეუღლე ნინო ზებედეს ასულს*, ორივე მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, ოცდაორ მარტს შეეძინათ ვაჟი დავითი, რომელიც ოცდაოთხ მაისს მოინათლა მღვდელ იოანე მაკაროვის (მაკარაშვილის, ვ. კ.)** მიერ; მიმრქმელი იყო თავადი ლუარსაბ ვახტანგის ძე ჯაფარიძე.

სინოდალური კანტორა ამას, შესაბამისი ხელმოწერით და სახაზინო ბეჭდის დასმით ადასტურებს, 1864 წლის 5 მაისი.

---

* როგორც სხვა საბუთიდან („Формулярный список„) ირკვევა, ნინო ზებედეს ასულის გვარი იყო დიდებულიძე. იხ. შენიშვნა 7, ფ. 2.

** ამ დროს მოღვაწეობდა იოანე მაკარაშვილი, ონის მღვდელი, როგორც ჩანს, საბუთში მასზეა საუბარი.

სინოდალური კანტორის წევრი: არქიმანდრიტი ვიქტორი (ხელმოწერილია).

მდივნის მაგიერ: გლიბოვსკი (ხელმოწერილია).

მაგიდის უფროსის (მოვალეობის შემსრულებელი): კვალიაშვილი (ხელმოწერილია)" [8].

ასეთია ამ მოწმობის ზუსტი თარგმანი, რაც შეეხება მეორე საბუთს, ის როგორც აღინიშნა, გაცემულია ჩრდილო კავკასიაში, თერგის ოლქში. მოვიტანთ ამ საბუთის ჩვენ მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანსაც:

ატესტატი

„მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მითითებით, ეს (საბუთი) გაცემულია თერგის ოლქის გამიჯვნის (მმართველობის) მიერ, წოდების არ მქონე დავით გიორგის ძე ნანუკოვისადმი (ნანუკაშვილისადმი, ვ. კ.), რომელიც კანცელარიის მოხელეა აღნიშნულ მმართველობაში; (მოწმობა) გაიცა მასზედ, რომ ის, ნანუკოვი, როგორც ეს ჩანს მისი ნამსახურების აღრიცხვის („Формулярный список") ფურცლიდან, დაბადებიდან ოცდაცამეტი წლისაა,

დავით ნანუკაშვილი (ერთადერთი ჩვენამდე მოღწეული ფოტო) ქალიშვილთან მარინე ნანუკაშვილთან ერთად (1914 წელი)

იგი კოლეგიის ასესორის შვილია, მართლმადიდებელი აღმსარებლობისა; განმასხვავებელი ნიშნები არ გააჩნია. განსაზღვრული ანაზღაურება არ მიუღია. მისი საგვარეულო საკუთრება შეადგენს სამ სახლს ადგილ ონში, რაჭის მაზრაში და სხვადასხვა საადგილმამულო ნაკვეთებს, რაჭის მაზრაში, ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა სოფელში, (ეს საკუთრება შეადგენს) დაახლოებით 50 დესეტინამდე. (იგი) სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, მაგრამ განათლების სრული კურსი არ გაუვლია, რადგანაც VI კლასიდან სასწავლებელი დატოვა, შესაბამისი მოწმობით.

რაჭის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლის განჩინებით, მისი თხოვნის საფუძველზე, (სხდომამ) რომელიც შედგა 1873 წლის 6 ნოემბერს, დაუშვა ის რაჭის, მომრიგებელი განყოფილების მდივნის დამხმარედ, 1873 წლის 1 ნოემბრიდან. იგივე მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილებით, სხდომამ, რომელიც შედგა 1875 წლის 1 ივნისს, დაამტკიცა (იგი) რაჭის მომრიგებელ (მოსამართლეთა) განყოფილების მდივნის დამხმარედ. (მისი) თხოვნის საფუძველზე და თერგის ოლქის მმართველის გადაწყვეტილებით, გადაყვანილია კანცელარიის მოხელედ 1875 წლის 27 ოქტომბრიდან. (მისივე) თხოვნის საფუძველზე გადაყვანილია კანცელარიის მოსამსახურედ თერგის ოლქის მიჯნების ნაწილში 1878 წ. 28 მარტს.

ნასამართლევი არ არის.

თხოვნის საფუძველზე, 28 დღით განთავისუფლდა, თვალების დაავადების სამკურნალოდ. 28 მარტს 1878 წელს. ის დროზე არ გამოცხადდა (სამსახურში) და საერთო კანონის 741 მუხლის საფუძველზე სამსახურის შესახებ (გამოცემულია 1876 წ.), განთავისუფლებულია სამსახურიდან 1878 წლის 26 აპრილიდან .

რასაც თერგის ოლქის გამიჯვნათა (სამმართველო) ადასტურებს ხელის მოწერით და სახაზინო ბეჭდის დასმით.

1884 წ. 12 მაისი, ქ. ვლადიკავკაზი.

(მიწერილი სიტყვა „გიორგის ძე“ სანდოა).

თერგის ოლქის გამიჯვნათა (სამმართველოს) მმართველი: მ. ყიფიანი.

საქმის მწარმოებელი: (არ განირჩევა)

დასმულია თერგის ოლქის გამიჯვნათა (სამმართველოს) ბეჭედი“ [9].

ამ დოკუმენტის შედგენის შემდეგ, დავით ნანუკაშვილი როგორც აღნიშნული იყო, ჯერ თიანეთში, შემდეგ კი თელავში დამკვიდრდა.

რაც შეეხება საბუთზე ხელმომწერ მიხეილ ყიფიანს, ის თავის დროზე, ცნობილი პიროვნება იყო. დაიბადა სოფ. ვახანში 1833 წელს, გარდაიცვალა ვლადიკავკაზში 1891 წელს. გადმოსვენებული და დაკრძალულია დიდუბის პანთეონში. იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. ასევე იყო „ქართული ღრამატიკული საზოგადოების“ დამაარსებელი. მიხეილ ყიფიანმა ქართული სკოლები გახსნა სტეფანწმინდასა და ვლადიკავკაზში. იყო ავტორი არითმეტიკისა და გეომეტრიის სახელმძღვანელოებისა. 1890 წელს იგი აქტიურად არის ჩაბმული ოსური აბანის შექმნაში. მან გააცნო საზოგადოებას კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედება და ა. შ. მან დაწერა წიგნი: „ყაზბეგიდან-იალბუზამდე“ (1884 წ. რუსულ ენაზე). მის ღვაწლს დიდად აფასებდა ილია ჭავჭავაძე.

ასეთია იმ ქართველი მოღვაწეების ბედი, ვინც მე-XIX საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. აშკარად ჩანს ქართული ენის სრული გამოდევნა ოფიციალური დოკუმენტებიდან. ასევე, ქართული გვარები, რომლებიც „შვილზე“ ბოლოვდებოდა, აბსოლუტურად ყველა, წარმოდგენილია „ოვის“ ფორმით. მაგალითად: ნანუკაშვილი – ნანუკოვის, მაკარაშვილი – მაკაროვის და ა. შ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III (XI-XVII სს) მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა, გ. ოთხმეზურმა, ტომი შეადგინეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ, თბილისი 2004
2. პროსოკრაფიული ცხრილი, 10:1585.
3. პროსოკრაფიული ცხრილი: N42852.
4. პროსოკრაფიული ცხრილი: ID 4943.
5. პროსოკრაფიული ცხრილი, პირის ID 4943.
6. M. Сакварелидзе, „История одной революционной семьи в г. Телави, Тбилисского округа в Грузии“, журнал Sprawy Wschodnie, Czasopismo Instytutu Wschodniego Uniwersytetu im. A. Mickiewicza, N2009-2010, Poznan.
7. Формулярный список о службе помощника Рачинского уездного начальника, колежского ассесора Георгия Нанукова, Составлен 18 февраля 1868 года; ასლი 1874, პირადი აქრივი.
8. დავით ნანუკაშვილის დაბადების მოწმობა, 1864 წელი, პირადი არქივი.
9. დავით ნანუკაშვილის სამსახურის მოწმობა თერგის ოლქში, 1884 წელი, პირადი არქივი.

Vazha Kiknadze
Doctor of Historical Sciences, Professor,
The main scientific worker of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology at TSU

From the history of the Nanukashvili surname (Documents from the 19th century)

Summary

The article examines the history of the „Nanukashvili" surname in the 19th century and shows that its original form was „Nanikashvili".

This earlier form of the name can be traced back to the 16th century.

The study draws on several original 19th-century documents preserved in our personal archive.

These include Giorgi Nanukashvili's „List of Works" (формулярный список), the birth certificate of Davit, son of Giorgi Nanukashvili (issued in 1864), and a certificate confirming that Davit Nanukashvili worked in the „Boundary Demarcation Committee" (межевой комитет) in the Terek district of the North Caucasus (issued in 1884).

The documents also show that the head of this committee was the prominent Georgian public figure Mikheil Kipiani.

Together, these records shed light on the difficult circumstances surrounding Georgian surnames in annexed Georgia during the 19th century.

For instance, every surname ending in „-shvili" was officially rendered in the „-ov" form (e. g., Nanukashvili → „Nanukov").